სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/28

ქ. თბილისი 18 მარტი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის №12 ოქმის (11.03.25.), სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის №2 ოქმის (11.03.25.) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 მარტის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2025 წლის 11 მარტს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ გიორგი სალუქვაძის უფლებამოსილება 4 წლის ვადით.

2. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2025 წლის 11 მარტს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორ ეპიფანე გვენეტაძის უფლებამოსილება 4 წლის ვადით.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**